

საქართველოს კანონი

მუხ.1. "საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1998წ. №13-14)

ამ კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1 პარლამენტის წევრი იმავედროულად შეიძლება ეწეოდეს სამეცნიერო, პედაგოგიურ, სამედიცინო-საკონსულტაციო, სახელოვნებო საქმიანობას, თუ ასეთი საქმიანობა არ ითვალისწინებს ადმინისტრაციულ ფუნქციებს. ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულება გულისხმობს სამეცნიერო, სასწავლო, სამედიცინო, სახელოვნებო დაწესებულებებში თანამდებობის პირის მიერ საკადრო დისციპლინურ და სხვა საკითხებზე ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას.

მუხ. 2 ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი